



## განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით  
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების  
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ  
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

05 ოქტომბერი, 2021 წელი



## დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

სახელი: ნინო

გვარი: ბოგვერაძე



## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211359448

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება <sup>1</sup>	სამართალი
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე <sup>2</sup>	მეექვსე
4	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითებით <sup>3</sup>	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) <sup>4</sup>	0421 სამართალი
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	241
9	განხორციელების ადგილი <sup>5</sup>	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N.240, თბილისი 0159, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 2020 წლის 08 დეკემბრის N1173236 გადაწყვეტილება
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	08 დეკემბერი, 2020 წ.
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	ვადა: - 09 თვე; თარიღი: 08 სექტემბერი, 2021 წ.
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	08 დეკემბერი, 2027 წ.

<sup>1</sup>დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

<sup>2</sup>ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

<sup>3</sup>მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-  
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

<sup>4</sup>განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

<sup>5</sup>ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



**საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება**  
**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით**

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

**შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი<sup>6</sup>**

1. მიზანშეწონილია, დოკუმენტურად აისახოს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი და ანალიზის შედეგების მიხედვით პროგრამაში განსახორციელებელი/განხორციელებული ცვლილებები. სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი, სამიზნე ნიშნულებთან დადარება, პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის განხორციელება შესაბამისი შემაჯამებელი ან პერიოდული დოკუმენტების დაგეგმვა/განხორციელებისათვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მიერ ანალიზის ეფექტურად განხორციელებას, ინფორმაციის თავმოყრას და გამოვლენილი ხარვეზების შესაბამისად ცვლილებების საჭიროებებს, არსებობის შემთხვევაში.

<sup>6</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



2. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის შემუშავებასა და შემდგომ განვითარებაში მოქმედი სტუდენტების ეფექტური ჩართულობის ღონისძიებები.
3. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსების მუდმივი გადამუშავება როგორც მასალის განახლების, ასევე მოცულობის კუთხით და ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით.
4. აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, მემორანდუმებში განისაზღვროს პრაქტიკასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებით არსებული დეტალები (კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით).
5. მიზანშეწონილია სილაბუსებში მკაფიოდ და ამომწურავად იყოს გაწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა კრიტერიუმებითა და მეთოდებით შეფასდება.
6. სტუდენტების შედეგების გასაჩივრების არსებული პრაქტიკა სამართლებრივად აისახოს და გაიწეროს შესაბამის დოკუმენტებში, რათა გარეშე პირებისათვის უფრო ნათელი იყოს გასაჩივრების პროცედურული ეტაპები.
7. საბაკალავრო პროგრამის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა იზრუნოს გარე ხარისხის შეფასებაზე, რათა პროგრამა ფასდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.
8. მიზანშეწონილია, დაიხვეწოს უსდ-ის მიერ სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარების წესი და მეთოდოლოგია, რათა ისასახავდეს რეალურ სურათს და მოხდეს ამ შედეგების ანალიზი.
9. მიზანშეწონილია, შეიქმნას პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგებისა და ამ შედეგების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>7</sup>

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 08 დეკემბრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს იმავე საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის (შემდგომში „ანგარიში“) წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 2021 წლის 08 სექტემბერი. დასტურდება, რომ უნივერსიტეტს ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით ვადის დაცვით - 2021 წლის 08 სექტემბერს - აქვს წარმოდგენილი.

ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ საბჭოს „რეკომენდაციების შესწავლის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიმართ დადგენილი რეკომენდაციები. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა იყო შემდეგნაირი: თბილისის თავისუფალი

<sup>7</sup>საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



უნივერსიტეტის რექტორი, პრორექტორები, სამართლის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის კოორდინატორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი, სტუდენტების დეკანი, კარიერული განვითარების მენეჯერი და შესაბამისი აკადემიური პერსონალი“. სამუშაო ჯგუფმა, ასევე, განიხილა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევები, თუმცა, მათი გათვალისწინება არ განხორციელებულა.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტის მიერ საბჭოს რეკომენდაციების შესრულება განხორციელდა, კერძოდ:

**რეკომენდაცია I - მიზანშეწონილია, დოკუმენტურად აისახოს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი და ანალიზის შედეგების მიხედვით პროგრამაში განსახორციელებელი/განხორციელებული ცვლილებები. სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი, სამიზნე ნიშნულებთან დადარება, პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის განხორციელება შესაბამისი შემაჯამებელი ან პერიოდული დოკუმენტების დაგეგმვა/განხორციელებისათვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მიერ ანალიზის ეფექტურად განხორციელებას, ინფორმაციის თავმოყრას და გამოვლენილი ხარვეზების შესაბამისად ცვლილებების საჭიროებებს, არსებობის შემთხვევაში.**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით ირკვევა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის გაცემისა და საბჭოს მიერ მისი გათვალისწინების ძირითადი მიზეზი გახდა ის გარემოება, რომ უნივერსიტეტი არ ახდენდა პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შეგროვებული მონაცემების ანალიზისა და ამ მონაცემების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების კუთხით გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ოქმებისა თუ სხვა სახით) შემუშავებას, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის განმარტებით აღნიშნული პროცესი აქტიურად ხორციელდება, მათ შორის სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან შეხვედრებისა და ელექტრონული კომუნიკაციების ფორმატში. აღნიშნულის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია და საბჭომ გაიზიარა რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სწავლის შედეგების მიღწევის, სრულყოფილი ანალიზისა და პროგრამის გაუმჯობესების შესაბამისი ქმედებების დაგეგმვა/განხორციელებისათვის მიზანშეწონილია სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი, სამიზნე ნიშნულებთან დადარება, პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის განხორციელება შესაბამისი შემაჯამებელი ან პერიოდული დოკუმენტების მეშვეობით.

გასაზიარებელია უნივერსიტეტის მიერ ანგარიშში წარმოდგენილი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ 2019-2020 აკადემიური წლის შემდეგ მოდიფიცირებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჯერ არ დამდგარა, ვინაიდან 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის მიღების სტუდენტებს ჯერ არ დაუსრულებიათ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმა და შესაბამისად ჯერ არ მიუღწევიათ პროგრამის არც ერთი სწავლის შედეგისთვის, და აღნიშნულის გათვალისწინებით, სწავლის შედეგების ანალიზის



შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენას უნივერსიტეტი ამ ეტაპზე ვერ მოახერხებდა.

**რეკომენდაცია II - აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის შემუშავებასა და შემდგომ განვითარებაში მოქმედი სტუდენტების ეფექტური ჩართულობის ღონისძიებები.**

უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საჭიროება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ონლაინ ინტერვიუს პროცესში არ იქნა დადასტურებული სტუდენტების აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში არც თავად ინტერვიუს დროს წარმოდგენილი სტუდენტების მხრიდან და არც სხვა სახის მტკიცებულებით („თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის“ დოკუმენტი უთითებს კურსდამთავრებულებთან შეხვედრებისას განხილულ საკითხებზე და არ საუბრობს მოქმედ სტუდენტებთან შეხვედრებისას განხილულ საკითხებზე).

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული რეკომენდაციის საპასუხოდ უნივერსიტეტი რეკომენდაციის შესრულების შესაბამის დოკუმენტს ვერ წარმოადგენდა, რადგან პროგრამა უკვე შემუშავებული და აკრედიტებულია და რეკომენდაცია ძირითადად ეხებოდა პროგრამის შემუშავების პროცესში სტუდენტების ჩართვის ეფექტური მექანიზმების შემუშავებას და პროგრამის შემდგომ განვითარებასა ან/და მოდიფიცირებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფას.

რაც შეეხება სტუდენტების ჩართულობას, აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში აღწერს პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში სტუდენტების პირდაპირი და არაპირდაპირი ჩართულობის მექანიზმებსა (ცოდნის შემოწმების ფორმებსა თუ სხვა აქტივობებში მონაწილეობა, უკუკავშირის სხვადასხვა ფორმის გამოყენება, მათ შორის გამოკითხვებსა და ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა, ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია) და უთითებს ამ ჩართულობის კონკრეტულ მაგალითებზე (სტუდენტების მხრიდან მიღებული უკუკავშირების გათვალისწინება 2018-2019 წლებში პროგრამის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით; მაინორ პროგრამების არჩევის შესაძლებლობა, საერთაშორისო კონკურსებში სტუდენტების მონაწილეობისა და მწვრთნელი ლექტორებისათვის ფინანსური მხარდაჭერის გაძლიერება, რაც, ბუნებრივია, რომ მისასაღებელია).

**რეკომენდაცია III - მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსების მუდმივი გადამუშავება როგორც მასალის განახლების, ასევე მოცულობის კუთხით და ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით.**

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით დგინდება, რომ საბჭოს წინამდებარე რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია როგორც სასწავლო მასალების განახლების, ასევე მოცულობის კუთხით, კერძოდ,



- *შესავალი სამოქალაქო სამართალში* (ასევე, გასწორებულია ტექნიკური ხარვეზი და საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ შეიცვალა საქართველოს კანონით „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“).
- *სამეწარმეო სამართალი* - კურსის ლიტერატურის ჩამონათვალში ქ. ქოქრაშვილის სამეწარმეო სამართლის 2010 წლის სახელმძღვანელო ჩანაცვლებულია სახელმძღვანელოს 2019 წლის გამოცემით.
- *ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი* - ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კურსის ძირითად სასწავლო მასალად განსაზღვრულია შემდეგი სახელმძღვანელო - პ. ტურავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2020.
- *ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი* - ძირითად სასწავლო სახელმძღვანელოდ მითითებულია კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2018.
- *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი I და II* - სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებული ძირითადი სახელმძღვანელო - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ნაწილი პირველი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976 განსაზღვრულია სარეკომენდაციო ლიტერატურის ჩამონათვალში.
- *საგადასახადო სამართალი I და II* - გადაიხედა ლიტერატურის სია და ნორმატიული მასალის ჩამონათვალი კორექტორებულია, სარეკომენდაციო ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატა 2017 და 2018 წლის გამოცემები: (როგავა ზ. საგადასახადო სამართალი (დამხმარე სახელმძღვანელო), წიგნი პირველი, თბილისი, 2018; როგავა ზ. საგადასახადო სამართალი (დამხმარე სახელმძღვანელო), წიგნი მეორე, თბილისი, 2017; როგავა ზ. საგადასახადო სამართალი (დამხმარე სახელმძღვანელო), წიგნი მესამე, თბილისი, 2017)
- *შრომითი ურთიერთობების სამართალი* - სილაბუსში ნორმატიული მასალის ჩამონათვალში დამატებულია საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“.
- *სამართლის საფუძვლები* - კორექტირებულია მითითება სავალდებულო ლიტერატურაზე - სტუდენტებს ლექტორების მიერ ყოველკვირეულად გადაეცემათ ინფორმაცია და სავალდებულო/სარეკომენდაციო საკითხავად მიეთითებათ შესაბამისი მასალა.

**რეკომენდაცია IV - აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, მემორანდუმებში განისაზღვროს პრაქტიკასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებით არსებული დეტალები (კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით).**

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და მემორანდუმების მიხედვით დგინდება, რომ 2 მემორანდუმში გათვალისწინებულია იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც სემესტრის განმავლობაში გაივლიან კომპანიებში სტაჟირებას, 2 არსებულ მემორანდუმში ცვლილებები კი ასახავს ზოგად ჩანაწერს, რომ „კომპანიაში დასაქმებისა და სტაჟირების გავლის წესის





შესაბამისად, კონკრეტულ სემესტრში სტაჟირების რაოდენობა და ხანგრძლივობა დადგინდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით“.

აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში წინამდებარე რეკომენდაციის გათვალისწინების საფუძველი სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნაა, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ წინასწარ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობის, ისევე, როგორც მიზნის, მიმართულებისა და ხანგრძლივობის განსაზღვრა, მნიშვნელოვანია პრაქტიკის არამხოლოდ დაგეგმვის, ასევე მიზნობრივად სტუდენტების გადნაწილების, და საერთოდ პრაქტიკული კომპონენტების სწორი მენეჯმენტისთვის. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ობიექტურად არსებული გარემოებებიც, რაც უკავშირდება უნივერსიტეტებსა და პრაქტიკისა თუ სტაჟირების განმახორციელებელი კერძო თუ საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაციისა და ხელშეკრულებების/მემორანდუმების შინაარსის განსაზღვრის სირთულეებს. ამ ეტაპზე, წარმოდგენილი მემორანდუმები ადასტურებს, რომ საბჭოს რეკომენდაციის შესრულება უნივერსიტეტს დაწყებული აქვს (გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული საკითხი განგრძობადი პროცესია), რაც კონკრეტულ მემორანდუმებში შესაბამისი ჩანაწერის არსებობით დასტურდება და, რაც უნდა მივიჩნიოთ ანგარიშის წარმოდგენის ეტაპზე აღნიშნული რეკომენდაციის უნივერსიტეტის მიერ შესრულებად.

**რეკომენდაცია V - მიზანშეწონილია სილაბუსებში მკაფიოდ და ამომწურავად იყოს გაწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა კრიტერიუმებითა და მეთოდებით შეფასდება.**

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და საკონსტიტუციო სამართალი - სახელმწიფო მოწყობა I, შედარებითი სამეწარმეო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის კლინიკისა და სახელშეკრულებო სამართლის სასწავლო კურსების სილაბუსებით დასტურდება, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსების სილაბუსებში შესაბამისად კორექტირებულია შეფასების კრიტერიუმები და შეცვლილია ქულების რანჟირება, რაც აღნიშნული რეკომენდაციის უნივერსიტეტის მხრიდან შესრულებას მოწმობს.

**რეკომენდაცია VI - სტუდენტების შედეგების გასაჩივრების არსებული პრაქტიკა სამართლებრივად აისახოს და გაიწეროს შესაბამის დოკუმენტებში, რათა გარეშე პირებისათვის უფრო ნათელი იყოს გასაჩივრების პროცედურული ეტაპები.**

სტუდენტების შედეგების გასაჩივრების პროცედურული ეტაპები ასახულია უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დებულებაში (მუხლი 7), შესაბამისად წინამდებარე რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულია.

**რეკომენდაცია VII - საბაკალავრო პროგრამის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა იზრუნოს გარე ხარისხის შეფასებაზე, რათა პროგრამა ფასდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.**



აღსანიშნავია, რომ გარე ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებით ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროგრამის აკრედიტაციის პროცესში გამოვლინდა განსხვავებული დამოკიდებულებები, თუ რა სახის მტკიცებულება მიიჩნევა უნივერსიტეტის მიერ გარე ხარისხის შეფასების შესაბამისი სტანდარტის შესრულებად და რამდენად საკმარისია პროგრამის აკრედიტაციის ფაქტის არსებობა სტანდარტის ამ კომპონენტის დასაკმაყოფილებლად (საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია პროგრამის პირველადი აკრედიტაციის დროს). უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცია თავისთავად გარე ხარისხის შეფასების შედეგის დამადასტურებელია, რაც, მოცემულ შემთხვევაში, გასაზიარებელი უნდა იყოს.

**რეკომენდაცია VIII - მიზანშეწონილია, დაიხვეწოს უსდ-ის მიერ სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარების წესი და მეთოდოლოგია, რათა ისასახავდეს რეალურ სურათს და მოხდეს ამ შედეგების ანალიზი.**

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის, კითხვარის ნიმუშისა და 2020-2021 წლის შემოდგომის სემესტრის კითხვარების შედეგების ანგარიშით დასტურდება, რომ უნივერსიტეტის მიერ წინამდებარე რეკომენდაცია შესრულებულია. განხორციელდა არა მარტო კითხვარის მოდიფიცირება, არამედ შემუშავებულია შემოდგომის სემესტრის კითხვარების შედეგების ანგარიშიც, რაც სტუდენტების გამოკითხვის შედეგების შესაბამის ინფორმაციასა და ანალიზს მოიცავს.

**რეკომენდაცია IX - მიზანშეწონილია, შეიქმნას პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგებისა და ამ შედეგების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი.**

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე მიმდინარეობს არა კამპანიურად, არამედ მუდმივად, აკადემიური ციკლების ჯერადობით. უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2020-2021 აკადემიური წლის სამართლის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის შედეგები, რაც მოიცავს ინფორმაციასა და ანალიზს შემდეგ ძირითად საკითხებზე: ერთიანი ეროვნული გამოცდები, კონკურსი და მიღება; კურსდამთავრებულთა ნიშნების სტატისტიკა; მაინორი - დამატებითი პროგრამები, დასაქმებისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების მაჩვენებლები; პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები; კონკურსები და ღონისძიებები. ამდენად, კონკრეტული პერიოდისათვის პროგრამის მონიტორინგის განხორციელების შესაბამისი დოკუმენტი უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია, რაც წინამდებარე რეკომენდაციის შესრულებას ადასტურებს.

## რჩევ(ებ)ი<sup>8</sup>

---

<sup>8</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



1. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას დაგეგმილი სტრატეგიისა და ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
2. ზოგადი საუნივერსიტეტო განათლების კომპონენტში შემავალ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით სასურველია, ჩატარდეს სტუდენტების საჭიროებების და არსებული გამოწვევების კვლევა. ამგვარი კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაიგეგმოს ამ კომპონენტის მოდიფიკაცია/განვითარება.
3. საბაკალავრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი უფრო მეტად იყოს სპეციალიზირებული საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით.
4. სასურველია, სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდი აღიჭურვოს ისეთი საჭირო ფუნქციით, როგორცაა ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან მიმოწერის ფუნქცია.
5. ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში, სტუდენტთა მხრიდან პედაგოგების შეფასება ხორციელდება მიზერულ შემთხვევებში. მაგალითად, 58 სტუდენტიანი ჯგუფიდან მხოლოდ 3-მა განახორციელა პედაგოგის შეფასება. შესაბამისად, სასურველია ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც გაზრდის პედაგოგების შეფასებაში ჩართული სტუდენტების რაოდენობას, შესაბამისად ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
6. სასურველია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ისეთი ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტების უფრო ფართო რაოდენობას ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე შინიდან.
7. სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
8. სასურველია, მოხდეს მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენება, რათა განხორციელდეს პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში-პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>9</sup>**

უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 08 დეკემბრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

<sup>9</sup>საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს იმავე საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 2021 წლის 08 სექტემბერი. დასტურდება, რომ უნივერსიტეტს ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით ვადის დაცვით - 2021 წლის 08 სექტემბერს - აქვს წარმოდგენილი.

ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ საბჭოს „რეკომენდაციების შესწავლის მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა განიხილა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევები, თუმცა, მათი გათვალისწინება არ განხორციელებულა, რაც სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს და უნივერსიტეტის დისკრედიტაციის საკითხია.

### დამატებითი ინფორმაცია<sup>10</sup>

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ არ მომხდარა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

### რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ<sup>11</sup>

სტანდარტის დასახელება <sup>12</sup>	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება <sup>13</sup>	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I <sup>14</sup>	მიზანშეწონილია, დოკუმენტურად აისახოს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი და ანალიზის შედეგების მიხედვით პროგრამაში განსახორციელებელი/განხორციელებული ცვლილებები. სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი, სამიზნე ნიშნულებთან დადარება, პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის განხორციელება შესაბამისი შემაჯამებელი ან პერიოდული დოკუმენტების დაგეგმვა/განხორციელებისათვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მიერ ანალიზის ეფექტურად განხორციელებას, ინფორმაციის თავმოყრას და გამოვლენილი ხარვეზების შესაბამისად ცვლილებების საჭიროებებს, არსებობის შემთხვევაში.
შეფასება	აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით ირკვევა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის

<sup>10</sup>საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

<sup>11</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

<sup>12</sup>სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>13</sup>კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>14</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>გაცემისა და საბჭოს მიერ მისი გათვალისწინების ძირითადი მიზეზი გახდა ის გარემოება, რომ უნივერსიტეტი არ ახდენდა პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შეგროვებული მონაცემების ანალიზისა და ამ მონაცემების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების კუთხით გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ოქმებისა თუ სხვა სახით) შემუშავებას, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის განმარტებით აღნიშნული პროცესი აქტიურად ხორციელდება, მათ შორის სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან შეხვედრებისა და ელექტრონული კომუნიკაციების ფორმატში. აღნიშნულის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია და საბჭომ გაიზიარა რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სწავლის შედეგების მიღწევის, სრულყოფილი ანალიზისა და პროგრამის გაუმჯობესების შესაბამისი ქმედებების დაგეგმვა/განხორციელებისათვის მიზანშეწონილია სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი, სამიზნე ნიშნულებთან დადარება, პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის განხორციელება შესაბამისი შემაჯამებელი ან პერიოდული დოკუმენტების მეშვეობით.</p> <p>გასაზიარებელია უნივერსიტეტის მიერ ანგარიშში წარმოდგენილი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ 2019-2020 აკადემიური წლის შემდეგ მოდიფიცირებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჯერ არ დამდგარა, ვინაიდან 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის მიღების სტუდენტებს ჯერ არ დაუსრულებიათ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმა და შესაბამისად ჯერ არ მიუღწევიათ პროგრამის არც ერთი სწავლის შედეგისთვის, და აღნიშნულის გათვალისწინებით, სწავლის შედეგების ანალიზის შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენას უნივერსიტეტი ამ ეტაპზე ვერ</p>
--	--



	მოახერხებდა.
რჩევა <sup>15</sup> I	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სწავლის შედეგების შეფასების გეგმა</li> <li>• სემეტრული გეგმა</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II <sup>16</sup>	აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის შემუშავებასა და შემდგომ განვითარებაში მოქმედი სტუდენტების ეფექტური ჩართულობის ღონისძიებები.
შეფასება	<p>უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საჭიროება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ონლაინ ინტერვიუს პროცესში არ იქნა დადასტურებული სტუდენტების აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში არც თავად ინტერვიუს დროს წარმოდგენილი სტუდენტების მხრიდან და არც სხვა სახის მტკიცებულებით („თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის“ დოკუმენტი უთითებს კურსდამთავრებულებთან შეხვედრებისას განხილულ საკითხებზე და არ საუბრობს მოქმედ სტუდენტებთან შეხვედრებისას განხილულ საკითხებზე).</p> <p>გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული რეკომენდაციის საპასუხოდ უნივერსიტეტი</p>

<sup>15</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>16</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>რეკომენდაციის შესრულების შესაბამის დოკუმენტს ვერ წარმოადგენდა, რადგან პროგრამა უკვე შემუშავებული და აკრედიტებულია და რეკომენდაცია ძირითადად ეხებოდა პროგრამის შემუშავების პროცესში სტუდენტების ჩართვის ეფექტური მექანიზმების შემუშავებას და პროგრამის შემდგომ განვითარებას ან/და მოდიფიცირებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფას.</p> <p>რაც შეეხება სტუდენტების ჩართულობას, აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში აღწერს პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში სტუდენტების პირდაპირი და არაპირდაპირი ჩართულობის მექანიზმებსა (ცოდნის შემოწმების ფორმებსა თუ სხვა აქტივობებში მონაწილეობა, უკუკავშირის სხვადასხვა ფორმის გამოყენება, მათ შორის გამოკითხვებსა და ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა, ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია) და უთითებს ამ ჩართულობის კონკრეტულ მაგალითებზე (სტუდენტების მხრიდან მიღებული უკუკავშირების გათვალისწინება 2018-2019 წლებში პროგრამის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით; მაინორ პროგრამების არჩევის შესაძლებლობა, საერთაშორისო კონკურსებში სტუდენტების მონაწილეობისა და მწვრთნელი ლექტორებისათვის ფინანსური მხარდაჭერის გაძლიერება, რაც, ბუნებრივია, რომ მისასაღმებელია).</p>
რჩევა <sup>17</sup> II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლის საბაკალავრო პროგრამა</li> <li>• კურიკულუმი</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი

<sup>17</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



რეკომენდაცია III <sup>18</sup>	მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსების მუდმივი გადამუშავება როგორც მასალის განახლების, ასევე მოცულობის კუთხით და ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით.
შეფასება	<p>უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით დგინდება, რომ საბჭოს წინამდებარე რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია როგორც სასწავლო მასალების განახლების, ასევე მოცულობის კუთხით, კერძოდ,</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <i>შესავალი სამოქალაქო სამართალში</i> (ასევე, გასწორებულია ტექნიკური ხარვეზი და საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ შეიცვალა საქართველოს კანონით „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“).</li> <li>• <i>სამეწარმეო სამართალი</i> - კურსის ლიტერატურის ჩამონათვალში ქ. ქოქრაშვილის სამეწარმეო სამართლის 2010 წლის სახელმძღვანელო ჩანაცვლებულია სახელმძღვანელოს 2019 წლის გამოცემით.</li> <li>• <i>ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი</i> - ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კურსის ძირითად სასწავლო მასალად განსაზღვრულია შემდეგი სახელმძღვანელო - პ. ტურავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2020.</li> <li>• <i>ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი</i> - ძირითად სასწავლო სახელმძღვანელოდ მითითებულია კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2018.</li> <li>• <i>სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი I და II</i> -</li> </ul>

<sup>18</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)





	<p>სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებული ძირითადი სახელმძღვანელო - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ნაწილი პირველი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976 განსაზღვრულია სარეკომენდაციო ლიტერატურის ჩამონათვალში.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <i>საგადასახადო სამართალი I და II</i> - გადაიხედა ლიტერატურის სია და ნორმატიული მასალის ჩამონათვალი კორექტორებულია, სარეკომენდაციო ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატა 2017 და 2018 წლის გამოცემები: (როგავა ზ. საგადასახადო სამართალი (დამხმარე სახელმძღვანელო), წიგნი პირველი, თბილისი, 2018; როგავა ზ. საგადასახადო სამართალი (დამხმარე სახელმძღვანელო), წიგნი მეორე, თბილისი, 2017; როგავა ზ. საგადასახადო სამართალი (დამხმარე სახელმძღვანელო), წიგნი მესამე, თბილისი, 2017)</li> <li>• <i>შრომითი ურთიერთობების სამართალი</i> - სილაბუსში ნორმატიული მასალის ჩამონათვალში დამატებულია საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“.</li> <li>• <i>სამართლის საფუძვლები</i> - კორექტირებულია მითითება სავალდებულო ლიტერატურაზე - სტუდენტებს ლექტორების მიერ ყოველკვირეულად გადაეცემათ ინფორმაცია და სავალდებულო/სარეკომენდაციო საკითხავად მიეთითებათ შესაბამისი მასალა.</li> </ul>
რჩევა <sup>19</sup> II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო კურსის სილაბუსები</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
-----------------------	--

<sup>19</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



კომპონენტის დასახელება	2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/მემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია IV <sup>20</sup>	აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, მემორანდუმებში განისაზღვროს პრაქტიკასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებით არსებული დეტალები (კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით).
შეფასება	<p>უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და მემორანდუმების მიხედვით დგინდება, რომ 2 მემორანდუმში გათვალისწინებულია იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც სემესტრის განმავლობაში გაივლიან კომპანიებში სტაჟირებას, 2 არსებულ მემორანდუმში ცვლილებები კი ასახავს ზოგად ჩანაწერს, რომ „კომპანიაში დასაქმებისა და სტაჟირებისა გავლის წესის შესაბამისად, კონკრეტულ სემესტრში სტაჟირების რაოდენობა და ხანგრძლივობა დადგინდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით“.</p> <p>აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში წინამდებარე რეკომენდაციის გათვალისწინების საფუძველი სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნაა, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ წინასწარ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობის, ისევე, როგორც მიზნის, მიმართულებისა და ხანგრძლივობის განსაზღვრა, მნიშვნელოვანია პრაქტიკის არამხოლოდ დაგეგმვის, ასევე მიზნობრივად სტუდენტების გადანაწილების, და საერთოდ პრაქტიკული კომპონენტების სწორი მენეჯმენტისთვის. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ობიექტურად არსებული გარემოებებიც, რაც უკავშირდება უნივერსიტეტებსა და პრაქტიკისა თუ სტაჟირების განმახორციელებელი კერძო თუ საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაციისა და ხელშეკრულებების/მემორანდუმების შინაარსის</p>

<sup>20</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	განსაზღვრის სირთულეებს. ამ ეტაპზე, წარმოდგენილი მემორანდუმები ადასტურებს, რომ საბჭოს რეკომენდაციის შესრულება უნივერსიტეტს დაწყებული აქვს (გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული საკითხი განგრძობადი პროცესია), რაც კონკრეტულ მემორანდუმებში შესაბამისი ჩანაწერის არსებობით დასტურდება და, რაც უნდა მივიჩნიოთ ანგარიშის წარმოდგენის ეტაპზე აღნიშნული რეკომენდაციის უნივერსიტეტის მიერ შესრულებად.
რჩევა <sup>21</sup> II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• მემორანდუმები</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია V <sup>22</sup>	მიზანშეწონილია სილაბუსებში მკაფიოდ და ამომწურავად იყოს გაწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა კრიტერიუმებითა და მეთოდებით შეფასდება.
შეფასება	უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და საკონსტიტუციო სამართალი - სახელმწიფო მოწყობა I, შედარებითი სამეწარმეო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის კლინიკისა და სახელმეცრულებო სამართლის სასწავლო კურსების სილაბუსებით დასტურდება, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსების სილაბუსებში შესაბამისად კორექტირებულია შეფასების კრიტერიუმები და შეცვლილია ქულების რანჟირება, რაც აღნიშნული რეკომენდაციის უნივერსიტეტის მხრიდან შესრულებას მოწმობს.

<sup>21</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>22</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



რჩევა <sup>23</sup> II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>სასწავლო პროგრამის სილაბუსები</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია VI <sup>24</sup>	სტუდენტების შედეგების გასაჩივრების არსებული პრაქტიკა სამართლებრივად აისახოს და გაიწეროს შესაბამის დოკუმენტებში, რათა გარეშე პირებისათვის უფრო ნათელი იყოს გასაჩივრების პროცედურული ეტაპები.
შეფასება	სტუდენტების შედეგების გასაჩივრების პროცედურული ეტაპები ასახულია უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დებულებაში (მუხლი 7), შესაბამისად წინამდებარე რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულია.
რჩევა <sup>25</sup> II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>ბაკალავრიატის დებულება</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.2. გარე ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია VII <sup>26</sup>	საბაკალავრო პროგრამის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა იზრუნოს გარე ხარისხის შეფასებაზე, რათა პროგრამა ფასდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.
შეფასება	აღსანიშნავია, რომ გარე ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებით ბოლო წლებში განხორციელებული

<sup>23</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>24</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>25</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>26</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>სხვადასხვა პროგრამის აკრედიტაციის პროცესში გამოვლინდა განსხვავებული დამოკიდებულებები, თუ რა სახის მტკიცებულება მიიჩნევა უნივერსიტეტის მიერ გარე ხარისხის შეფასების შესაბამისი სტანდარტის შესრულებად და რამდენად საკმარისია პროგრამის აკრედიტაციის ფაქტის არსებობა სტანდარტის ამ კომპონენტის დასაკმაყოფილებლად (საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია პროგრამის პირველადი აკრედიტაციის დროს). უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცია თავისთავად გარე ხარისხის შეფასების შედეგის დამადასტურებელია, რაც, მოცემულ შემთხვევაში, გასაზიარებელი უნდა იყოს.</p>
რჩევა <sup>27</sup> II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 08 დეკემბრის გადაწყვეტილება</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია VIII <sup>28</sup>	მიზანშეწონილია, დაიხვეწოს უსდ-ის მიერ სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარების წესი და მეთოდოლოგია, რათა ისასახავდეს რეალურ სურათს და მოხდეს ამ შედეგების ანალიზი.
შეფასება	უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის, კითხვარის ნიმუშისა და 2020-2021 წლის შემოდგომის სემესტრის კითხვარების შედეგების ანგარიშით დასტურდება, რომ უნივერსიტეტის მიერ წინამდებარე რეკომენდაცია შესრულებულია. განხორციელდა არა მარტო კითხვარის მოდიფიცირება, არამედ

<sup>27</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>28</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	შემუშავებულია შემოდგომის სემესტრის კითხვარების შედეგების ანგარიშიც, რაც სტუდენტების გამოკითხვის შედეგების შესაბამის ინფორმაციასა და ანალიზს მოიცავს.
რჩევა <sup>29</sup> II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• კითხვარის ფორმა</li> <li>• 2020-2021 წლის შემოდგომის სემესტრის კითხვარების შედეგების ანგარიში</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია IX <sup>30</sup>	მიზანშეწონილია, შეიქმნას პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგებისა და ამ შედეგების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი.
შეფასება	<p>უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე მიმდინარეობს არა კამპანიურად, არამედ მუდმივად, აკადემიური ციკლების ჯერადობით. უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2020-2021 აკადემიური წლის სამართლის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის შედეგები, რაც მოიცავს ინფორმაციასა და ანალიზს შემდეგ ძირითად საკითხებზე: ერთიანი ეროვნული გამოცდები, კონკურსი და მიღება; კურსდამთავრებულთა ნიშნების სტატისტიკა; მაინორი - დამატებითი პროგრამები, დასაქმებისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების მაჩვენებლები; პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები; კონკურსები და ღონისძიებები. ამდენად, კონკრეტული პერიოდისათვის პროგრამის მონიტორინგის განხორციელების შესაბამისი დოკუმენტი უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია, რაც წინამდებარე რეკომენდაციის შესრულებას ადასტურებს.</p>

<sup>29</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>30</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



რჩევა <sup>31</sup> II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"><li>2020-2021 აკადემიური წლის სამართლის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის შედეგები</li></ul>

### თანდართული დოკუმენტაცია<sup>32</sup>

- რეკომენდაციების შესრულების შესახებ უნივერსიტეტის ანგარიში და აღნიშნულ ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაცია
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ

### ექსპერტის ხელმოწერა

<sup>31</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>32</sup>თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა